საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 74/01
05/01/2021

74-01-2-202101051405

შპს „საგურამო ენერჯის“ გენერალურ დირექტორს
ირაკლი ბაბუხადიას
მის: მ. კოსტავას 1 შესახვევი N 33

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 25 დეკემბრის N20602 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება 4.4 მგვტ სიმძლავრის საგურამოს ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში სრულყოფილად არ არის მოცემული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-6 (კრიტერიუმები) ნაწილებით გათვალისწინებული ინფორმაცია. ასევე, სკრინინგის განცხადებაში სათანადოდ არ არის განხილული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე და ცვლილების შემდგომ საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობა (გენ-გეგმების მითითებით).

გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების საკითხები გათვალისწინებულია 2015 წლის გზშ-ის ანგარიშში და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გამოიწვევს. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ზემოაღნიშნული ზემოქმედების საკითხების შესახებ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, ასევე უკვე განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით. სკრინინგის განცხადება ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული ცვლილებების განხორციელების პერიოდის შესახებ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰესის შენობის მიმდებარედ, კომპანიის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, 2021 წელს იგეგმება ჰესის მომსახურე პერსონალისთვის დასასვენებელი ადგილის მოწყობა. გარდა ამისა, 2021 წელს კომპანია ასევე გეგმავს წყალმიმღებ ნაგებობაზე ავტომატური მართვის სისტემის მოწყობას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფარების დისტანციური ჩაკეტვა/გახსნა. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობებისა და გარემოზე მათი შესაძლო ზემოქმედების საკითხების შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში საგურამოს ჰესის მახასიათებლები წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე